ფასი 50 კაპ.

# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 115 შაბათი, 14 დეკემბერი, 1918 წ. № 115

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

გამგე ს. ი. ეელახოვი. შაბათს, დეკემბრის 14-ს ზალიპსკის სცენაზე მოღვაწეობის ათი წლის იუბილეი. ალეშკოს, იანსას, მოროზოვას, ზალიპსკის, ვრონსკის, და ნიკოლსკის მონაწილეობით

### პიკის ქალი.

გერმანის პარტიას შეასრულებს ზალიპსკი. დასაწყისი საღამოს $7^1/_2$ საათზე. ბილეთები გაყიდულია. კვირას, დღით—ბალეტი და საბავშო ოპერა: „7 თხა და წითელი ქუდი“. საღამოს შულგინას, შვამბერგის, კანშინის, პოლიაევის და ისეცკის მონაწილეობით „ნერონი.“ სამშაბათს, დეკემბერს 17 საბანეევას, ზალიპსკის, ნიკოლსკის მონაწილეობით „გოფმანის ზღაპრები“. ხუთშაბათს, დეკემბრის 19 პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დღეს „სევილიელი დალაქი“.
1154 1—1

## ყოველ-კვირეული ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“

**მესამე ნომრიდან გამოვა გადიდებული ფორმატით და განახლებული რედაქციით**

ჟურნალისთვის ყოველგვარი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბარონის (კალოუბნის) ქ. ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ რედაქცია—ჟურნალ „რესპუბლიკის ჯარისთვის“. ჟურნალის „რესპუბლიკის ჯარის“ სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა, 1—3 საათამდე. ჟურნალის კანტორა ღიაა—10—3 საათამდე.
1143 3—3

## სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონით (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 85-5 ოქტომბრის 1918 წ.) განსაზღვრული სენაკის მაზრისათვის საჭირო

### მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა

მოხდება სენაკის სამაზრო საერობო კრების მიერ პირველ მორიგ ყრილობაზე. ვისაც სურს კენჭი იყაროს აღნიშნულ თანამდებობაზე შეუძლიათ განცხადება გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: ახალ-სენაკი, სამაზრო ერობის გამგეობას.

1093 7—7 **სენაკის სამაზრო საერობო გამგეობა.**

## სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მაზრაში წვრილი საერობო ერთეულების არჩევნების დღედ დანიშნულია 3 იანვარი 1919 წ. (ძველი სტილით). საერობო ერთეულებად მიღებულია არსებული სასოფლო საზოგადოებები. პარტიების თუ ჯგუფებისაგან ხმოსნების კანდიდატთა სიებს საზოგადოებათა საარჩევნო კომისიები მიიღებენ 2 იანვრამდე 1919 წ. (ძველი სტილით)‘ თავმჯდომარის მოადგილე გრ. ცეკვაშვილი.
1142 3—3

## დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე.

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 15 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ქართულ კლუბის შენობაში (სასახლის ქ. № 5), დანიშნულია ზემოხსენებულ საზოგადოების წევრთა კრება.

განსახილველი საგნები: 1. ახალ წევრთა მიღება; 2. მოხსენება გამგეობისა; 3. მოხსენება სარევიზიო კომისიისა; 4. საზოგადოების გამგეობის წევრთა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
1153 1—1

## საექიმო-სანიტარო განყოფილება

**სთხოვს ექიმებს, ფერშლებს და მოწყალების დებს,**

ვისაც სურთ იმუშაონ ეპიდემიებთან საბრძოლველ რაზმებში ადგილობრივ ან პროვინციაში-ერობებში, მობრძანდნენ განყოფილების ბინაზედ ალსანუსხავათ (ქსენიევის ქ. სახლის № 10). იქვე მიიღება ცნობები სამსახურის პირობების შესახებ.
3—3

## ექიმი ი. კ. ანანელია

**შინაგანი ავადმყოფობა.**

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ქლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.
პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.

## ოფიციალური განყოფილება

## განკარგულებანი

**საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა.**

9 დეკემბერი, 1918 წ.

№ 54.

დაინიშნენ: ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგებად: ნაფიცი ვექილი იოსებ პეტრეს ძე ჩიკვაიძე(?), ყვირილის მომრიგებელი მოსამართლე ტერენტი რომანის ძე გორგაძე, ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ნესტორ მათეს ძე იამანიძე, სენაკის პირველ უბნის გამომძიებელი მელიტონ მიხეილის ძე ქეიშვილი და ხონის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე გედეონ გრიგორის ძე გაბუნია.

შტატ გარეშე დატოვებულ არიან: სალიკვიდაციო ფულის მიცემით, საერთო წესით, ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგები: პოლტორაცკი, დრაგნევიჩი, ვიშნიაკოვი და ჟილო.

9 დეკემბერი, 1918 წ.

№ 55.

ჩაირიცხნენ იუსტიციის სამინისტროს უწყებაში და იგზავნებიან სასამართლოს გამომძიებელთა თანამდებობის ასასრულებლად: 1) ქუთაისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლისა-ყვირილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე, ქიათურის საგამომძიებლო და სამომრიგებლო უბნების გამგე ბორის სპირიდონის ძე დევიძე, 2) ქ. ქუთაისის პირველ უბანში ქ. ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე გრიგოლ დადიანი, 3) ქ. ქუთაისის მეორე უბანში-ნაოდალევის სამომრიგებლო უბნის გამგე ლავრენტი ჟვანია, 4) ქ. ქუთაისის მესამე უბანში ქ. ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ქსენეფონტე ხარაიძე, 5) ქ. ქუთაისის მეოთხე უბანში ნაფიც ვექილის თანაშემწე ბეგლარ ფალავა, 6) ქუთაისის სამაზრო უბანში-ყოფილი მომრიგებელი შუამავალი ნესტორ ჩიქოვანი, 7) ხონის უბანში-ქუთაისის ოლქის სასამართლოსთან მყოფი უმცროსი კანდიდატი სასამართლო თანამდებობისა ალექსანდრე პატარიძე, 8) ბაღდადის უბანში-ოზურგეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ლეონტი კუჭუხიძე, 9) სამტრედია-ლანჩხუთის უბანში-ქუთაისის ოლქის სასამართლოსთან მყოფი უმცროსი კანდიდატი სასამართლო თანამდებობისა კონსტანტინე ბეჟუაშვილი, 10) სენაკის მაზრის პირველ უბანში-ნაფიცი ვექილი გიორგი ხაბურზანია, 11) სენაკის მაზრის მეორე უბანში-იურიევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის კურს-დამთავრებული ალექსი(?) გერასიმე ხაჯომია, 12) საჩხერის უბანში-კავკავის ოლქის სასამართლოსთან მყოფი უფროსი კანდიდატი სასამართლო თანამდებობისა ონიფანტე ხარაიძე, 13) ჩიატურის უბანში-ნაფიც ვექილის თანაშემწე კონსტანტინე ანდრონიკიდი, 14) ყვირილის უბანში-ქუთაისის ოლქის სასამართლოსთან მყოფი უმცროსი კანდიდატი სასამართლო თანამდებობისა ნიკოლოზ უზნაძე, 15) ნაოდალევის უბანში-ქუთაისის ოლქის სასამართლოსთან მყოფი უმცროსი კანდიდატი, სასამართლო თანამდებობისა ნიკოლოზ ელენტი, 16) ქ. ფოთის პირველ უბანში-ნაფიც ვექილის თანაშემწე მოსკოვის სასამართლო პალატის ოლქისა ტარასი ნიჟარაძე, 17) ქ. ფოთის მეორე უბანში-ქუთაისის ოლქის სასამართლოსთან მყოფი უმცროსი კანდიდატი სასამართლო თანამდებობისა ალექსანდრე ლამბაროვი, 18) ზუგდიდის მაზრის პირველ უბანში-ზუგდიდის მაზრის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე გრიგოლ დადიანი, 19) ზუგდიდის მაზრის მეორე უბანში-ნაფიც ვექილის თანაშემწე ნიკოლოზ დარასელია, 20) წალენჯიხის უბანში- მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის კურს დამთავრებული ვარლამ ჩიჩუა, 21) ლეჩხუმის სამაზრო უბანში-ქუთაისის ოლქის სასამართლოსთან მყოფი უმცროსი კანდიდატი სასამართლო თანამდებობისა ალექსანდრე წერეთელი, 22) სვანეთის უბანში-ქუთაისის ოლქის სასამართლოსთან მყოფი უმცროსი კანდიდატი სასამართლო თანამდებობისა გერასიმე ორდიშვილი, 23) რაჭის უბანში ნაფიც ვექილის თანაშემწე ალექსანდრე ჯაფარიძე და 24) ოზურგეთის სამაზრო უბანში-ნაფიცი ვექილი ბეჟან ხუნდაძე.

იუსტიციის მინისტრი შ. ალექსი-მესხიშვილი.

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსი.**

2 დეკემბერი, 1918 წ.

269.

ამოირიცხებიან სიებიდან: მიწათ-მოქმედების სამინისტროში წარგზავნილი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ მიწათ-გამსაზღვრელი განყოფილების ინსპექტორი ვიქტორ ვასილის ძე ვოინკოვი, 24 ოქტომბრიდგან, გადაცვალების გამო.

ხელს აწერს მინისტრის მაგიერ, ამხანაგი გ. მახარაძე.

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.**

30 ნოემბერი, 1918 წ.

§ 7.

დანიშნულ იქმნენ: მთავარ საბაჟოში: უმცროსი კონტროლიორი მთავარ საბაჟოსი პავლე იაკობის ძე ეზოვი—უფროს კონტროლიორად 1 ამა ნოემბრიდან.

ყაზბეგის საბაჟოში: მთავარ საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უფროსი თანაშემწე ალექსანდრე დავითის ძე დეკანოზიშვილი—გამგის თანამდებობის ასასრულებლად 21 ამა ნოემბრიდან.

სადახლოს საბაჟოში: ბაგრამ-ტაპის საბაჟოს გამგის თანაშემწე დოროთე ხონელიძე—გამგის თანამდებობის ასასრულებლად 25 ოქტომბრიდან.

ნატანების საბაჟოში: ბაქოს საბაჟოს თარჯიმანი ნიკოლოზ ელიზბარის ძე შანიძე—უმცროს კონტროლიორად 6 ნოემბრიდან.

გამორიცხული არიან უწყების სამსახურის სიიდან: მთავარ საბაჟოს მდივნის უმცროსი თანაშემწე ერმოლოზ ნიჟარაძე, ფოთის საბაჟოს მდივნის თანაშემწენი: ივანე გაგნიძე და ვასილ ჩახნაშვილი, სოხუმის საბაჟოს ბუხგალტერის თანაშემწე ალექსანდრე ბაგრატოვი, ყველა ოთხივე სამსახურში გამოუცხადებლობისა გამო დღიდან მათი დანიშვნისა, მთავარ საბაჟოს მდივნის უფროსი თანაშემწე ფოთოლაშვილი 1 ამა ნოემბრიდან თიანეთის გამომძიებლის თანამდებობაზე დანიშვნის გამო. ყაზბეგის საბაჟოს გამგე მირონ გიორგის ძე მარინაშვილი, აწყურის საბაჟოს გამგის თანაშემწე აქსენტი მიხეილის ძე ჩიქავა და ფოთის საბაჟოს ბუხგალტერი ალექსანდრე ნესტორის ძე მგელაძე გარდაცვალებისა გამო, პირველი 4 ნოემბრიდან, მეორე 3 ოქტომბრიდან და მესამე 16 სექტემბრიდან.

გამორიცხული არიან სამსახურიდან თხოვნის თანახმად: ფოთის საბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟოს გემის ზედამხედველის თანაშემწე შახმელიქოვი და ნატანების საბაჟოს საწყობის ზედამხედველის თანაშემწე პეტროვსკი, პირველი 31 ოქტომბრიდან და. მეორე 21 ოქტომბრიდან.

30 ნოემბერი, 1918 წ.

№ 8.

დანიშნულ იქმნენ: მთავარ საბაჟოში: მთავარ საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უმცროსი თანაშემწე გიორგი მანსვეტაშვილი— უფროს თანაშემწედ იმავე ზედამხედველისა 1 ამა ნოემბრიდან, იმავე საბაჟოს მდივნის უმცროსი თანაშემწე კეკელიძე—უფროსი თანაშემწედ მდივნისა, ნატანების საბაჟოს ბუჰალტერის თანაშემწე ალშევსკი ბუჰლალტრის დროებით უნცროსი თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად 1 ნოემბრიდან, მთავარ საბაჟოს ბუჰლალტერის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ბეთანიშვილი —უფროს თანაშემწედ ბუჰლალტრისა: დროებით დიშვებული მთავარ საბაჟოში საწყობის ზედამხედველის უმცროს თანაშემწედ თვალთვაძე და ასათიანი—ორივენი საწყობის ზედამხედველის უმცროს თანაშემწედ; თავისუფალი მოხელენი თულაშვილი და საყვარელიძე—პირველი ბუხალტერის და მეორე მდივნის უნცროსი თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, ყველანი 21 ამა ნოემბრის და უკანასკნელი კი 16 ნოემბრიდან, თავისუფალი მოხელე ალექსანდრა პოდკოლზინა, ყოფილ ბათუმის სახელმწიფო ბანკის განყოფილების მოხელე ნატალია მგალობლიშვილი, ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი შალვა თუხარელი, პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი სამსონ ასათიანი და სამხედრო საექიმო აკადემიის სტუდენტი გიორგი გერსამია—თავისუფალ მოხელედ ორმოცი თუმნის ჯამაგირის დანიშვნით თვეში, პირველი 3 ნოემბრიდან, მეორე 15 ნოემბრიდან და დანარჩენნი 21 ნოემბრიდან. გერსამია იგზავნება სალოღლის საბაჟოს შტატის გასაძლიერებლად და ასათიანი სანაინის საბაჟოს შტატის გასაძლიერებლად. ნატანების საბაჟოს ბუჰლალტერის თანაშემწე ნინო ბიბილაშვილისა—მდივნის უნცროს თანაშემწედ 1 ნოემბრიდან.

ნატანების საბაჟოში: მთავარ საბაჟოს ბუჰლალტერის უნცროსი თანაშემწე ჩერნოვი—ბუჰლალტრად და იგზავნება მთავარ საბაჟოს შტატის გასაძლიერებლად 1 ნოემბრიდან, პეტროგრადის რკინის გზის კურსების მსმენელი კონსტანტინე ბრეგვაძე საწყობის ზედამხედველის თანაშემწედ 23 ნოემბრიდან, კომერციული მეცნიერების კანდიდატი ტარასი მალანია საწყობის ზედამხედველის უნცროს თანაშემწედ და იგზავნება ყაზბეგის საბაჟოს შტატის გასაძლიერებლად 1 ნოემბრიდან.

ლაგოდეხის საბაჟოში: ნატანების საბაჟოს ბუჰლალტერი ნასიძე— გამგის თანაშემწედ 16 ნოემბრიდან.

აბასთუმანის საბაჟოში: მთავარ საბაჟოს მდივნის უნცროსი თანაშემწე გუგუშვილი— გამგის თანაშემწედ.

ბაკურიანის საბაჟოში: მთავარ საბაჟოს მდივნის უნცროსი თანაშემწე სიხარულიძე— გამგის თანაშემწედ.

აწყურის საბაჟოში: მთავარ საბაჟოს ბუჰლალტერის უნცროსი თანაშემწე ჩიხლაძე— გამგის თანაშემწედ.

გუგუშვილი, სიხარულიძე და ჩიხლაძე ინიშნებიან 1 ამა ნოემბრიდან და სამივე იგზავნებიან მთავარ საბაჟოში შტატის გასაძლიერებლად.

ყულევის საბაჟოში: ფოთის საბაჟოს გემის ზედამხედველის თანაშემწე ხაინდრავა—გამგის თანაშემწედ 1 ამა ნოემბრიდან და იგზავნება ფოთის საბაჟოში შტატის გასაძლიერებლათ.

ვარანცოვკის საბაჟოში: მთავარ საბაჟოს მდივნის უნცროსი თანაშემწე კონსტანტინე ქიმერიძე—გამგის თანაშემწედ 1 ამა ნოემბრიდან და იგზავნება მთავარ საბაჟოში შტატის გასაძლიერებლად.

ფოთის საბაჟოში: იმავე საბაჟოს ხაზინადარი ბაბუნაშვილი გემის ზედამხედველის თანაშემწედ, ტაგანროგის საბაჟოს გემის ზედამხედველის თანაშემწე აბაშიძე—ხაზინადრათ, ფოთის საბაჟოს ბუჰლალტერის უფროსი თანაშემწე რიგვავა—გემის ზედამხედველის თანაშემწედ, იმავე საბაჟოს ბუჰლალტერის უნცროსი თანაშემწე კიზირია—უფროს თანაშემწედ ბუჰლალტრისა 1 ნოემბრიდან. თავისუფალი მოხელენი: ვლადიმერ ლოლობერიძე, კონსტანტინე ჯინჭარაძე, თომა ქვანია და ლევან ფალავა—პირველი მდივნის უნცროსი თანაშემწედ მეორე და მესამე უნცროს თანაშემწედ ბუჰლალტერისა და მეოთხე გემის ზედამხედველის თანაშემწედ, იმათში პირველი, მეორე და მეოთხე 1 ამა ნოემბრიდან და მესამე 1 ოქტომბრიდან, პროვიზორის თანაშემწე შალვა ბექუაშვილი და პეტროგრადის აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტის ფაკულტეტის სტუდენტი ვალერიან ჯაფარიძე ორივე მდივნის თანაშემწედ 21 ამა ნოემბრიდან.

მთავარ საბაჟოს გამგე ბ. მ ი ქ ა ძ ე.

## არა ოფიციალური განყოფილება

## სახალხო განათლების სამინისტროში

### წალკის ქონების გამო.

სახალხო განათლების სამინისტრომ აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ბორჩალოს მაზრის სოფ. წალკაში განათლების სამინისტროს უწყებაში არის სახაზინო სარძევე ფერმა. წელს გაზაფხულზე არეულობის დროს ფერმის საბალახო ადგილი მოთიბული იყო და აოხრებული კიზილკილისის მცხოვრებთა მიერ. სახელმწიფო საქონელი, რომელიც იქ არის, დარჩა უთივოთ. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ცნობების მოკრების და ფაქტების შემოწმების შემდეგ გამოარკვია ფერმის ზარალი, რაიც უდრის 180 ურემ თივას და შეუდგა ზარალის გადახდევინებას იმათგან, ვისაც ჰქონდა მითვისებული თივა. გუბერნიის კომისარმა შეაჩერა თივის შეკრება საქმის გამორკვევამდე. ახლა ფერმის გამგე დეპეშით გვატყობინებს, რომ პირუტყვი იქ საკვების უქონლობის გამო იხოცება. ცდა, სანამ სასამართლო ამ საქმეს გამოიძიებდეს, შეუძლებელია, ვინაიდან მანამდე განადგურდება მრავალ ათას მანეთათ ღირებული სახელმწიფო ქონება. ჰაჭიროა საჩქარო განკარგულება გუბერნიის მთავრობის მიერ, რომ თივის შეკრებას კიზილკალელებისაგან კვლავ შეუდგნენ. სამინისტრო სთხოვს ამის შესახებ სათანადო განკარგულებას.

## საგენერალ-გუბერნატოროში

### გენ. მაზნეშვილის განმარტება.

გენ. გუბერ. მაზნეშვილის განკარგულებით 17 ნოემბერს გამოცემულ სავალდებულო დადგენილების პირველი მუხლი შეცვლილ იქმნა იმ სახით, რომ ღამით ქუჩებზე მოძრაობა შეიძლება ღამის პირველ საათამდე, რის შემდეგ კი ვიდრე დილის 5 ნახევარ საათამდე ნება დაურთველად ქუჩებში ყოველგვარი მოძრაობა აღკრძალულია.

## ფინანსთა სამინისტროში

### ბ. მინისტრის გამგზავრება

დღეს მიემგზავრებიან ჭიათურაში ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი გ. დ. ჟურული, მისი ამხანაგი ივ. ათხაზი და სამთო სამმართველოს გამგე ინჟ. ა. ი. ყიფშიძე, ჭიათურის სამრეწველოების დასათვალიერებლათ და ახლათ შემდგარ სააქციონერო საზოგადოების კრებაზე დასასწრებლათ.

## სამხედრო სამინისტროში

### ცნობების დაბეჭდვის შესახებ.

სამხედრო მინისტრმა განკარგულება გასცა არ დაბეჭდონ ცნობები საომარ მოქმედებაზე და რესპუბლიკის ჯარის გადაჯგუფებაზე, თუ ამის შესახებ პირდაპირ მინისტრისგან არ იქნება ცნობა.

## შინაგან საქმეთა სამინისტროში

### ქისტები.

თელავის გენ. გუბერნატორი მაღლაკელიძე დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს. ქისტები მორეკილ მსხვილ ფეხ საქონელს იარაღზე სცვლიდნენ თელავისა და თიანეთის მაზრებში. თოვლი აფერხებს იარაღის გამოზიდვას მთებზე. თუშები დაჟინებით მოითხოვენ იარაღი აჰყარონ ქისტებს და შეიპყრონ ისინი სანამ არ უჩვენებენ ნაყიდ და გადამალულ იარაღის ალაგს.“

## მიწათ-მოქმედების სამინისტროში

### ციტოხცევის მამული.

ცენტრალურ საადგილ-მამულო გამგეობამ დაადგინა ა. ა. ციტოხცევის მამული ტფ. მაზრის ს. ოლგინსკაიაში გადაეცეს „კავკასიის სასოფლო სამეურნეო მრეწველთა“ ამხანაგობას 12 წლის ვადით, წელიწადში 5 ათას მანეთ იჯარით. ამხანაგობამ ყოველგვარი გაუმჯობესებანი ამ მამულში თავის ხარჯზე უნდა გასწიოს.

### სესხი რეფორმისათვის.

ცენტრალურ საადგილ-მამულო გამგეობამ ნება დართო გამგეობის წევრს დ. გ. ჩიღუნელს ყოფილ საუფლისწულო ღვინოების საწყობის თანხიდან 100 ათასი მანეთი აიღოს სესხათ აგრარულ რეფორმების გასატარებლად.

### ჯამაგირების შესახებ.

საიურისკონსულტო ნაწილის წინადადება ტფ. საბალოსნო სკოლის დაბალ მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ ცენტრალურმა საადგილ-მამულო გამგეობამ მიიღო და აცნობა სამეურნეო ნაწილის ინსპექტორს.

### იჯარით გაცემა.

სიღნაღის სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობის შუამდგომლობა მიწების იჯარით გადაცემის შესახებ ცენტრალურმა საადგილ-მამულო გამგეობამ შეიწყნარა.

### ყოფილ მოსამსახურეთა დაკმაყოფილება.

აგრარულ რეფორმების შემომღებ ნაწილის შუამდგომლობა სალიკვიდაციო ფულის მიცემის შესახებ საადგილ მამულო გამგეობის ყოფილ მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად ცენტრალურმა საადგილ-მამულო გამგეობამ დააკმაყოფილა.

### საჭირო საგნების მიცემა.

მიწათ-მოქმედების მოსამსახურეთა შუამდგომლობა, რომ მათ მომარაგების კომიტეტიდან მიეცეთ საჭირო საგნები ფასით ცენტრალ საადგილ-მამულო კომიტეტმა შეიწყნარა და დაადგინა ეთხოვოს მომარაგების კომიტეტს ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

### ნაკაშიძის მამული.

ოზურგეთის მაზრის ვაკე-ზედუბნის სოფლის საზოგადოების შუამდგომლობა ნაკაშიძის მამულის გაცემის შესახებ ცენტრალურმა საადგილ-მამულო გამგეობამ გადასცა სასოფლო სამეურნეო და ნაციონალურ მამულების ნაწილს დასასკვნელად და საგანგებო პირის გასაგზავნად, რომელიც დაიცავს ინტერესებს, როგორც ამ მამულისას, ისე კიდევ ერობისა და ადგილობრივ მცხოვრებლებისას.

## თელავის მაზრაში

რედაქციამ თელავიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: ღამით, 11 დეკემბერს მიღებული ცნობებით გავიგეთ, რომ თელავში შემოიპარა ცნობილ ავაზაკ ლევან ლექავას მეთაურობით ორი ავაზაკი ქისტი. მათი მოსვლის მიზანი ყოფილა გენერალ-გუბერნატორ შალვა მაღლაკელიძეზე ტერორის მოხდენა. გადაწყვეტილი ჰქონიათ მისი მოკვლა. იქ, სადაც ტერორისტები გვეგულებოდენ, ღამითვე ალყა შემოვარტყით მილიციის და საგუბერნიო ბათალიონის შემწეობით. ავაზაკებმა გაქცევა სცადეს. მაგრამ რადგან მათი ცხენები წინდაწინვე დავაკავეთ, მათ დავეწიეთ და დავიჭირეთ. განსაკუთრებული სიგმირე გამოიჩინა გუბერნიის ბათალიონის ფელდფებელმა დევდარიანმა. ახლად დაჭერილები 7 დაჭერილ ავაზაკთან ერთად გადაეცა სამხედრო საველე სასამართლოს“.

გენერალ-გუბერნატორის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ხარაძე. გუბერნიის ბათალიონის უფროსი პოდპოლკოვნიკი კაჭახიძე.

## სახალხო გვარდიის დღე

დიდი ხანია, რაც ტფილელებს არ უნახავთ ისეთი დიდებული სურათი, რომელსაც წარმოადგენდა ხუთშაბათს ტფილისი სახალხო გვარდიის დღეს.

დილიდანვე მოქალაქენი ქალაქის ყველა უბნიდან მიეშურებოდენ სასახლესთან და გოლოვინის პროსპექტზე, სადაც უნდა შემდგარიყო სახალხო გვარდიის აღლუმი და ყველა ეჩქარებოდა უკეთესი ალაგი დაეჭირა ამ არაჩვეულებრივი სანახაობის საცქერათ.

პარლამენტიდან დაწყებული მთელ გოლოვინის პროსპექტზე და ოლღას ქუჩაზე სახლების აივნები, ღია ფანჯრები და სახურავები სავსე იყო მაცქერლებით. ზოგნი აცოცებულიყვენ ხეებზე, ბოძებზე და იქიდან უყურებდნენ ამ სანახაობას.

დილის ათი საათიდან იწყო მოსვლა შეიარაღებულმა გვარდიამ და გამწკრივდა ქუჩის ერთ მხარეს სამხედრო ტაძრიდან ოლღას და ბელინსკის ქუჩის კუთხამდე. ქუჩის მეორე მხარეს გვარდიელების პირდაპირ გამწკრივდა ჯარი—ტფილისის გარნიზონის ნაწილები იარაღითვე. მათ რიგზე ორივე მხარეს გამწკრივდნენ სხვა და სხვა პროფესიონალური ორგანიზაციები თავიანთ დროშებით და სხვა და სხვა საშუალო სასწავლებლების მოსწავლენი თავიანთ ორკესტრებით.

გვარდიელთა, ჯარის და მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციების ხაზის უკან ქუჩის ორივე მხარეს ხალხი ბუზივით ირეოდა. მეტათ ბევრი ხალხი იდგა სასახლის და მუზეუმის, სამხედრო ტაძრის, „ორიანტის“ სასტუმროს და სამხედრო „დიდების ტაძრის“ წინ. ამ აუარებელ ხალხის თავზე ჯერ სულ მაღლა და შემდეგ ძირს ჰაეროპლანი დაფრინავდა და ულოცავდა გვარდიას დღესასწაულს.

დღესასწაულს ხელს უწყობდა აგრეთვე არაჩვეულებრივი დეკემბრის თვისთვის მშვენიერი თბილი ამინდი, სუფთა ცა და მოკრიალე მზის სხივები.

შუადღის წინ გვარდიელების ხაზზე გაიარა და დაათვალიერა აღლუმის ხელმძღვანელმა გარნიზონის უფროსმა გენერალ-მაიორმა ს. გახმეტელიშვილმა, რომელსაც მიჰყვებოდა სახალხო გვარდიის შტაბი თავის თავმჯდომარე ვალიკო ჯუღელის მეთაურობით.

ამავე დროს გვარდიელების მარჯვენა ფლანგის რიგზე შეიკრიფნენ მთავრობის წევრნი, მინისტრები, პარლამენტის წევრნი პრეზიდიუმით, საქართველოს ლაშქრის შტაბი. აქვე მოთავსდნენ გერმანელთა ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლები. სასტუმრო „ორიანტის“ აივანიდან სხვათა შორის იცქირებოდენ უცხოეთის წარმომადგენელნი და მათ შორის ინგლისის მისიის წევრნი.

გვარდიელთა, ლაშქართა და მუშათა ხაზების შუა მიდი - მოდიოდნენ ყვავილებით დამშვენებული ავტომობილები, საიდანაც ქალები ყვავილებს უყრიდნენ გვარდიელებს.

ნაშუადღევის $12^1/_2$ საათზე სასახლეში შევიდა გვარდიის ყარაული და მიიღო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნ. ნ. ნ. ჟორდანიასაგან წითელი დროშა, რომელიც უძღვნა გვარდიას ტფილისის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭომ. ეს დროშა დიდებით გამოიტანეს სასახლიდან. ორკესტრები გამართული ჰიმნის და ინტერნაციონალის დაკვრით დაუხვდა და გააცილა გვარდიის მარცხნივ ფლანგამდე, სადაც ეს დროშა მოათავსეს.

ცოტა ხნის შემდეგ რკინის გზის სადგურიდან სამ შემკულ ავტომობილებით სასახლეს ეწვია ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მისია, რომელიც გავლით ბაქოდან ბათომში ცოტას ხნით ტფილისში გაჩერდა დღესასწაულის მისალოცავათ და აღლუმის სანახავათ.

სწორეთ პირველ საათზე სასახლიდგან გამობრძანდა მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ნ. ჟორდანია აღლუმის მისაღებათ. მას თან ახლდა სამხედრო მინისტრი და გვარდიის უმთავრესი შტაბი.

მთავრობის თავმჯდომარეს ხალხი ვაშას ძახილით მიეგება, ორკესტრები კი ჰიმნის და ინტერნაციონალის დაკვრით.

მიიღო რა მოხსენება აღლუმის ჩამბარებელის გენერალ ს. გახმეტელაშვილისაგან, ბ-ნმა ნ. ნ. ჟორდანიამ მიულოცა გვარდიას, ფეხით გაიარა მის ხაზზე ბოლომდე და ყოველ ნაწილს სალამს უძღვნიდა, რაზედაც გვარდიელები გაუმარჯოს ძახილით უპასუხებდნენ.

გვარდიელების შემოვლის შემდეგ მთავრობის თავმჯდომარე დაბრუნდა ავტომობილით, დადგა სასახლის წინ მინისტრებით შემორტყმული. ბ-ნი ნ. ნ. ჟორდანიას მარცხნივ იდგა გვარდიის შტაბი ბ. ვალიკო ჯუღელის მეთაურობით.

დაიწყო ცერემონიალური მარში.

გვარდიის წინ გამოატარეს ამ დღეს მიღებული გვარდიის მიერ მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოსგან წითელი დროშა, მის უკან მოჰქონდათ ვერცხლის (საკრავი)—ღოროტოტო წითელ ალამით, რომელზედაც ოქროს ასოებით წარწერილი იყო: „გმირულ სახალხო გვარდიას საქართველოს ლაშქარისაგან 12 (29) XII აღსანიშნავათ“. ამას მოსდევდა ქვეითი გვარდიელების ბატალიონები, ტყვის მფრქვეველთა რაზმი, მოტოციკლეტების რაზმი, 53 ჯავშნოსანი ავტომობილი, ცხენოსანი გვარდიელები, გვარდიის არტილერია, მთის და ველის ბატარეები,

გვარდიის შემდეგ მთავრობის თავმჯდომარეს წინ გაიარა ცერემონიალურ მარშით ჯარის ნაწილებმა, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ აღლუმში.

აღლუმი ამით დამთავრდა, რის შემდეგ ბ-ნი ნ. ნ. ჟორდანია და მთავრობის წევრნი ვალ. ჯუღელითურთ სასახლეში შევიდნენ. აუარებელ ხალხი ვაშას ძახილით და ტაშისკვრით აცილებდა მათ. აღლუმის შემდეგ დაიწყო მანიფესტაცია და პარლამენტის წინ გაიარეს რამდენიმე ათასმა მუშებმა და სხვა და სხვა პროფესიების კავშირთა წევრმა მუსიკით და სიმღერით. მიაფრიალებდენ თავიანთ დროშებს და მიჰქონდათ თან მრავალი პლაკატი.

სახალხო გვარდიის დღეს დილიდანვე მთელი ქალაქი ფეხზე იყო და ქუჩებში, ნამეტნავად ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მთელი დღე არ შეწყვეტილა არა ჩვეულებრივი მოძრაობა. ტრამვაის ვაგონები სავსე იყო ხალხით. ხუთი ვაგონი მშვენივრად მორთული ბაირაღებით, მწვანე გირლიანდებით და ფერად ელექტრონულ ლამპებით მუშაობდნენ ღამის 1 საათამდე დაჭრილ-დასახიჩრებულ გვარდიელების სასარგებლოდ. ქალაქის სხვა და სხვა ალაგებში კიოსკები იყო გამართული, სადაც ამათთვის ფული გროვდებოდა ნიშნების გაყიდვით. ხალხი დიდი სიამოვნებით იღებდა ამ ნიშნებს და თავის შემწეობას ყულაბებში

ყრიდნენ. დილის 10—11 საათზე ქუჩაში ვერავის ვეღარ ნახავდით უამნიშნოთ ტანისამოსზე. პარლამენტის ბინა და ქალაქის გამგეობა. მშვენივრად იყო მორთული ნამეტნავად ქალაქის გამგეობა. მის ბინის ფასადი დამშვენებული იყო ძვირფას ხალიჩებით და მწვანე გირლიანდებით, რომლებშიც ჩაწნული იყო ელექტრონული ლამპები გასაჩირაღდნებლად. გვარდიელების სასარგებლოდ ყველა თეატრებში წარმოდგენები იყო. სინემატოგრაფები, როგორც თეატრები, ხალხით სავსე იყო. საღამოთი ჩირაღდანი იყო ანთებული სასახლის წინ და აგრეთვე სხვა ალაგებში, მუსიკა უკრავდა.

—

სახალხო გვარდიის შტაბმა მის დღესასწაულ დღეს ბევრი მოსალოცი დეპეშები და წერილები მიიღო. მათ შორის შესანიშნავია მოლოცვა რუსის გენერალ როდზევიჩისა, რომელიც არსენალის უფროსად იყო შარშან გვარდიელების მიერ არსენალის დაჭერის დროს. გენ. როდზევიჩი თავის მოსალოც წერილში დაწვრილებით ჩამოსთვლის გვარდიის დამსახურებას და აღნიშნავს, რომ გვარდიელების სიგმირის მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ ტფილისი და საქართველო ანარქიას გადაურჩა.

—

ტფილისის "კრუჟოკის" ბინაში სახალხო გვარდიის დღეს ღამის 11 საათზე საამხანაგო ვახშამი გაუმართეს სახალხო გვარდიის შტაბს. ვახშამზე მონაწილეობას იღებდნენ პარლამენტის და მთავრობის წევრნი და საზოგადოების მრავალი წარმომადგენელნი.

მოძრაობა და ჟრიამული ქუჩაში არ შეწყვეტილა დიდხანს. არაჩვეულებრივმა დღემ მართლაც არაჩვეულებრივად ჩაიარა. ეს დღე წითელი ასოებით აღინიშნება საქართველოს რესპუბლიკის ისტორიაში. პ.

# საფინანსო და საბიუჯეტო კომისიაში

სხდომას დაესწრენ: ი. ლოთქიფანიძე, პ. ქავთარაძე, თ. ღლონტი, ნ. ცინცაძე, დ. შარაშიძე, გ. ქიქოძე, ი. თევზაძე, პ. მამრაძე, ქალაქთა კავშირის წარმომადგენელი სმირნოვი.

განსახილველი საგანი იყო:

1) პ. ქავთარაძის მოხსენება საქართველოს წყლის ძალთა გამოყენების დებულების შესახებ. მომხსენებელის აზრით მიუხედავათ მცირე ხარჯისა, რომელიც სჭირდება კომიტეტს, მისი დაარსება სრულებით არ არის საჭირო, ვინაიდან ამ კომიტეტის მოღვაწეობა ამოიწურება მხოლოდ იმით, რომ მან უნდა გაარჩიოს კონცესიების გაცემის საკითხი, ხოლო წყლის ძალთა გამოყენებისათვის არსებობს მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან რუსეთის მთავრობის მიერ მოწყობილი ეგრედ წოდებული წყლის ინსპექცია, რომელიც კარგათ არის მოწყობილი და კარგათ ასრულებს თავის მოვალეობას. ეს დაწესებულება გაარჩევს კონცესიის საქმეებს და თუ სხვა უწყებათა აზრიც იქნება საჭირო, მიწათ-მოქმედების სამინისტროს შეუძლიან შეეკითხოს სათანადო სამინისტროს. მომხსენებელის აზრით სხვა და სხვა კომიტეტების დაარსება ართულებს მართვა-გამგეობას და იწვევს პატარა სახელმწიფოსთვის აუტანელ ხარჯს.

ხარჯთ-აღრიცხვა კომისიის მიერ უარყოფილ იქნა, ხოლო კომიტეტის დაარსება შესაძლებლად სცნო, მაგრამ იგი უნდა შესდგეს უწყებათა წარმომადგენელთაგან და უსასყიდლოთ.

# კანონ-პროექტები

**საქართველოს წყლის ძალთა გამოყენების დროებითი დებულება.**

1. საქართველოს წყლის ძალები იმყოფება საქართველოს მთავრობის განკარგულებაში.

2. საქართველოს წყლის ძალების გამოყენებისათვის სადგურების მოწყობა, აგრეთვე მათი ექსპლოატაცია და განვითარება უნდა სწარმოებდეს მხოლოდ ამ დებულების წესების თანახმად.

3. უფლება სადგურების მოწყობის და მათი ექსპლოატაციისა, როდესაც სადგურის სიმძლავრე 300 ცხენის ძალას აღემატება, გაიცემა კონცესიის წესით.

4. კონცესიებს საბოლოოდ ამტკიცებს: ა) საკანონმდებლო ორგანო იმ შემთხვევებში, როდესაც სადგურის სიმძლავრე აღემატება 10 ათასს ცხენის ძალას, ხოლო ბ) ყველა დანარჩენ შემთხვევაში მთავრობა.

5. ნებართვა იმ სადგურების მოწყობის და ექსპლოატაციისა, რომელთა სიმძლავრე 300 ცხენის ძალას არ აღემატება, მიეცემა მოწმობით, რომელსაც აძლევს: ა) მთავრობა, როცა წყლის ძალთა გამოყენება საჭიროებს იძულებით ჩამორთმევას ან დროებითი დაკავებას სხვისი უძრავ ქონებისას და ბ) წყლის სამართველო ყველა დანარჩენ შემთხვევაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სადგურის სიმძლავრე აღირიცხება ფორმულით W—10. Q. H. სადაც Q აღნიშნავს წყლის ხარჯვას კუბიკურ მეტრით წამში, ხოლო H წყლის გამოსაყენებ სვეტის სიამაღლეს მეტრით.

6. წყლის ძალთა გამოყენების სახელმძღვანელოდ და ამ წესდებაში აღნიშნულ საკითხების გასარჩევად და გადასაწყვეტად მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსდება წყლის ძალთა გამოყენების კომიტეტი.

7. ზემოდ მეექვსე მუხლში მოხსენებული კომიტეტი შესდგება სათანადო მინისტრების მიერ დანიშნულ წარმომადგენელთაგან: მიწათ-მოქმედების სამინისტროდან ორი წარმომადგენელი (რომელთა შორის ერთი საქართველოს წყალთა ინსპექტორი უნდა იყოს); ფინანსთა-ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროდან ორი, გზათა სამინისტროდან ორი და შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროსაგან თითო. გარდა აღნიშნულ წევრებისა, თავმჯდომარე და მისი მოადგილე ინიშნება მთავრობის მიერ მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარდგენით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1) კომისიას და მის თავმჯდომარეს შეუძლიან მიიწვიონ, სათათბიროს ხმის უფლებით ის პირნი, რომელთა მონაწილეობა გასარჩევ საქმეში სასარგებლოდ იქნება ცნობილი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 2) კომიტეტს ჰყავს საკუთარი მდივანი.

8. წყლის ძალთა გამოყენების კომიტეტს გარდა ზემოდ მე-5 და მე-6 მუხლებში აღნიშნულ საქმეთა, ევალება:

1) სხვა და სხვა უწყებათა თვითმართველ ორგანოების, საზოგადო ორგანიზაციების, კავშირთა, თუ საზოგადოების და კერძო პირების მიერ წარდგენილ წინადადებათა განხილვა, რომელნიც შეიცავენ სხვის მიწებზე საკვლევაძიებო მუშაობის მოწყობას წყლის ძალის გამოსაყენებლად და ენერგიის მანძილზე გადასაცემად ან ასეთ გამოკვლევების და მის პირობათა წარმოებათათვის ნებართვის მიცემა.

2) სხვა და სხვა უწყებათა თვითმართველ ორგანოების, საზოგადო ორგანიზაციების, კავშირთა, საზოგადოების და კერძო პირთა მოსაზრების განხილვა, რომელიც შეეხება წყლის ენერგიის გამოსაყენებელ საწარმოო დაწესებულებათა მოწყობას და ენერგიის მანძილზე გადაცემას.

3) წყლის ძალთა გამოყენებისათვის ნებართვის პირობათა შემუშავება იმ შემთხვევებში, როდესაც საბოლოო გადაწყვეტა საკითხისა წყლის სამართველო უფლებას აღემატება (მუხ. მე-3).

4) თითოეულ საკონცესიო ხელშეკრულობის ძირითადი დებულებათა შემუშავება წყლის ენერგიის გამოსაყენებელ და ენერგიის მანძილზე გადასაცემ საწარმოო დაწესებულებათა მოწყობისათვის.

5) გამოკვლევების წყლის ძალთა ექსპლოატაციის სადგურების მუშაობის და ენერგიის მანძილზე გადაცემის წარმოებაზე მთავრობის ზედამხედველობის წესის შედგენა, აგრეთვე სათანადო ინსტრუქციის შედგენა ზედამხედველთათვის.

6) გარჩევა იმ საქმეებისა, რომლებიც ქონების ძალით ჩამორთმევას თუ მათ დროებითი დაკავებას ეხება ან ქონებით ნაწილობრივ სარგებლობის უფლების დაწესებას;

7) ზომების დაწესება მიმდინარე წყლის გაფუჭების თუ დაშრეტისაგან დასაცავად;

8) კონკურსის პირობათა შემუშავება იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე შუამდგომლობაა შემოსული ერთსა და იმავე წყლის ძალთა ექსპლოატაციის უფლების მოპოვებისათვის.

9) საკონცესიო ხელშეკრულობის საბოლოო ტექსტის შედგენა ძირითად დებულებათა დამტკიცების შემდეგ (პუნქტი 4).

10) განხილვა და შემოწმება კვლევა-ძიების მასალების და ყოველგვარ სატეხნიკო პროექტებისა.

11) წყლის ძალთა გამოყენებისაგან ხაზინის შემოსავლის და წესების მოსაზრებათა შედგენა.

12) სანიხრო (ტარიფის) კითხვების შემუშავება.

9. მთავრობის მიერ მოწონებულ საკონცესიო ხელშეკრულობის დადება, საქართველოს რესპუბლიკის სახელით ევალება მიწათ-მოქმედების მინისტრს.

10) კომიტეტის სხდომები ინიშნება თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ დღეებში ან საჭიროებისამებრ. კომიტეტის დადგენილებები უნდა ჩაიწეროს ჟურნალში, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ სხდომაზე დამსწრე თავმჯდომარემ ან მისმა მოადგილემ და წევრებმა. კომიტეტის დადგენილებანი კანონიერად ჩაითვლება, როდესაც სრულ უფლებიან მონაწილეთა უმრავლესობის მიერ არის მიღებული და როდესაც დამსწრეთა რიცხვი კომიტეტის მთელი შემადგენლობის ნახევარზე ნაკლები არ იქნება.

11. წყლის ძალთა გამოსაყენებელ კომიტეტს ზემოხსენებულ დავალებათა განსახორციელებლად ენიჭება: ა) უფლება პირდაპირ მიმართონ მინისტრთ და მათ უწყების განყოფილებათა უფროსებს, ბ) შეეკითხონ ყველა უწყების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს იმ საქმეთა შესახებ, რომელიც მის კომპენტენციას, შეადგენს გ) მიაწოდონ დასკვნა კომიტეტის კომპეტენციაში მყოფ საქმეთა შესახებ ყველა დაწესებულებათ მათ უფროსების საშუალებით, დ) მოაწყონ განსაკუთრებული კომისიები მცოდნე პირთა მოწვევით იმ საკითხთა განსახილველად, რომლებიც წყლის ამოქმედებასთან არის დაკავშირებული (სატეხნიკო, იურიდიულ, საფინანსო, სამიწათ-მოქმედო, სატარიფო და სხვა).

12) მინისტრებმა თუ დაწესებულებათა უფროსებმა კომიტეტს უნდა გადასცენ დასასკვნელად ყველა ის საერთო საკითხი, რომელიც წყლის გამოყენებას ეხება.

13. ამ დებულების მე-5 მუხლში ხსენებულ მოვალეობათა გარდა, წყლის სამართველოს ევალება ყველა საადმინისტრაციო და სატეხნიკო საქმეების გადაჭრა წყლის ძალთა გამოყენების სფეროში, სახელდობრ:

1) საქართველოს მდინარეთა და ტბების რეჟიმის შესწავლა, მათი რეგისტრაცია გრაფიკების და ცხრილების შედგენა,

2) წინასწარი მუშაობა, წყლის ძალთა კადასტრის შესადგენად,

3) ეკონომიური დ სტატისტიკური შესწავლა იმ რაიონებისა, სადაც განზრახულია წყლის ძალთა გამოყენება და აგრეთვე შესწავლა იმ რაიონებისა, სადაც ელექტრონის ენერგიით სარგებლობაა მოსალოდნელი.

4) დასკვნათა მიცემა წყლის გამოყვანის შესაძლებლობის შესახებ,

5) საწარმოო დაწესებულების სატეხნიკო მასალის დაგროვება და გადასინჯვა,

6) წარდგენა წყლის ძალთა გამოყენების კომიტეტისადმი დასკვნებისა, თუ რამდენად დასაკმაყოფილებელია მრეწველის მიერ მიწვდილი სატეხნიკო პროექტები, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც წყლის სამართველოს არა აქვს საქმის საბოლოო გადაჭრის უფლება (მუხ. 4 და ა), და

7) წყლის ძალთა გამოყენების კომიტეტის დავალებათა ასრულება.

14. თავის განცხადებით წყლის ძალთა ექსპლოატაციის შესახებ მრეწველებმა უნდა მიმართონ წყალთა სამმართველოს, ხოლო ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაში, როდესაც მას არა აქვს უფლება საკითხი საბოლოოდ გადაჭრას, მრეწველის განცხადება გადასინჯულ მასალებით, და თავის დასკვნითურთ, უნდა წარედგინოს წყლის ძალთა გამოყენების კომიტეტს. თავის მხრით კომიტეტი წარუდგენს საქმეს თავისი დასკვნითურთ, მიწათ-მოქმედების მინისტრის საშუალებით.

15. თუ წყლის ძალთა საექსპლოატაციო ან ელექტრონის ენერგიის მანძილზე გადამცემელ მოწყობილობათა გასამართავად, მრეწველისათვის საჭირო იქნება ჩამორთმევა, დროებითი დაკავება სხვისი უძრავ ქონებისა, ან ნაწილობრივი მონაწილეობა მისი ქონებით, მაშინ,— თუ რომ რეწველსა და ქონების პატრონს შორის ნებაყოფლობით შეთანხმება არ არსებობს, უნდა მოხდეს ძალით ჩამორთმევა, დროებითი დაკავება ან ქონებით ნაწილობრივ მონაწილეობის უფლების დაწესება, მთავრობის დადგენილებით, რა წესითაც ეს ხდება რკინის გზების საჭიროებისათვის, ხოლო იმ პირობით, რომ მრეწველს უფლება ენიჭება დაუყონებლივ დაიკავოს მისთვის საჭირო უძრავი ქონება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1) ძალდატანებითი ჩამორთმევა, საჭიროებისამებრ უნდა ეხებოდეს იმ უფლებებსაც, რომელიც სამთო მრეწველებს აქვთ მადნეულობის დამუშავებისათვის მინიჭებული.

1) იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი სადგურის მაგიერა განზრახულია უფრო მძლავრ სადგურის გამართვა, უკანასკნელი შეიძლება ჩამოერთვას პატრონს უფრო დიდი სადგურის ამართვის საჭიროებისათვის, საერთო წესით.

16. სახელმწიფო მიწები, რომელიც სადგურის ასაშენებლად, თუ ელექტრონის ენერგიის მანძილზე გადასაცემად არის საჭირო, ეძლევათ მრეწველებს ხელშეკრულობის საშუალებით, რომელიც მიწათ-მოქმედების სამინისტროს და მრეწველს შორის უნდა დაიდოს.

17. თანხა, წყლის ძალთა გამოყენების კომიტეტის, მისი მდივნისა და საქმის მწარმოებლისათვის, გამოთხოვნილი უნდა იქმნეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ ხარჯთ-აღრიცხვის წესით.

**ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის გავრცელებისათვის გადადებულ კრედიტის განაწილებისა.**

ამა წლის 29 ოქტომბრის კანონით ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის გავრცელებისათვის გადადებული კრედიტი განაწილებული იქნას შემდეგნაირად:

1918 წლისათვის გადაიდოს 1186240 მანეთი, 1919 წლისათვის 400000 მანეთი და 1920 წლისათვის 200000 მანეთი.

# ნავთის საკითხი

**ვაჭრობა მრეწველობის ნაწილში ნავთის გამო.**

ვაჭრობა მრეწველობის ნაწილმა აცნობა გზათა სამინისტროს, რომ ამ დღეებში ბაქოდან ტიფლისში ჩამოიტანენ 4 ცისტერნა სურახანის ნავთს და 4 ცისტერნას გაუწმენდავ ნავთს, რომელიც სახელმწიფო ბანკის რწმუნებულს შეუსყიდია ბაქოში. ხსენებული ნავთი ნავთლუღში მ. ნაზაროვის საწყობში ჩაიცლება. აღნიშნული ნაწილი სთხოვს გზათა სამინისტროს განკარგულება უბოძოს ამ ნავთის გადაცემის შესახებ სახელმწიფო ბანკის რწმუნებულის ხელში.

# ინგლისური პრესის ცნობა.

(საქ. დეპ. სააგ.)

**ამე იკის ამაყობა.**

ოფიციალურად იუწყებიან: ამერიკა ამაყობს მით, რომ ინგლისმა კაცობრიობას შესწირა თავისი სამხედრო ფლოტი, რამოდენიმე ათიათასი ჯარისკაცთა სიცოცხლე იპრზე და მილიონიანი მსხვერპლი.

**კაიზერის მწუხარება.**

კორესპოდენტები ალრონგენიდან იუწყებიან, რომ კაიზერი დღითი დღე ნაღვლიანდება, ის ზის ფანჯარასთან და მთელი დღეების განმავლობაში აჩქარებით სწერს.

**პუანკარე და კლემანსო.**

პუანკარეს და კლემანსოს მოგზაურობა გრძელდება. მათ დღეს გაიარეს შლეშტატი, კოლმარი და მიულ ჰაუზენი. ხალხი მათ ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდა.

**მდგომარეობა ბერლინში.**

ბერლინში მდგომარეობა რთულდება. მთავრობამ აკრძალა ჯარების ყაზარმიდან გამოსვლა. ლიბკნეხტის პარტია დაბეჯითებით მოითხოვს მუშათა საერთო გაფიცვას; ამ პარტიის მომხრეებს აქვთ მრავალი ტყვიის მფრქვეველი და ამუნიცია. სოციალ-დემ. უმრავლესობის პარტიას განზრახული აქვს მთავრობას ულტიმატიურად მოსთხოვოს, რომ დაშალოს სპარტაკის კომიტეტი და ლიბკნეხტი დააპატიმროს.

**კელნში.**

ბრიტანიის ჯარმა კელნში აღადგინა წესიერება. ძარცვას უმეტესათ ახდენდენ სამსახურიდან განთავისუფლებული მეზღვაურნი, ჯარის კაცები და მოწაფეები. ბრიტანიის დარაჯები იცავენ დიდ რეინის ხიდს.

კელნის ბურგომისტრმა სთქვა, რომ ის დიდათ აფასებს ბრიტანელთა ზრდილობას.

**ჩინეთის მოთხოვნილება.**

ჩინეთმა მოითხოვა ჰოლანდიის ელჩის პეკინიდან გაწვევა, რომელიც ყველაზე ენერგიული გერმანოფილია და რომელიც აფრთხილებდა ჩინეთს არ დაეპატიმრებიათ გერმანელები და გერმანულ ბანკების ლიკვიდაცია არ მოეხდინათ. ჰოლანდიის ბანკუკელ ელჩსაც აბრალებენ, რომ ისიც შულლს სთესდა მოკავშირეთა და ცენტრალურ სახელმწიფოების შორის.

**ინგლისელთა დღე.**

ამერიკელმა მცხოვრებლებმა მოაწყვეს ინგლისელთა „დღე" ინგლისის მადლობის გადასახდელათ კაცობრიობის თავისუფლების დაცვაში მონაწილეობის მიღებისთვის.

# გერმანული პრესის ცნობა.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

**პეტლიურას ჯარი.**

მე-15 დივიზიის ჯარი ნიკოლაევიდან გაგზავნეს დოლინისკენ მიმავალ პეტლიურას ჯარის წინააღმდეგ. პეტლიურას ჯარი ოდესის ახლო სდგას.

**ოდესის ამბები..**

პოლონეთის და მოხალისეთა ჯარის რაზმები ოდესას სტოვებენ.

ოდესაში მილიციას შეტაკება ჰქონდა ჯართან, რომელიც გერმანიის ჯარის საწყობის დარბევას შეეცადა. მოკლულია რამოდენიმე პოლონელი და 1 უკრაინელი ოფიცერი.

ოდესაში ჩამოვიდა სერბიელთა როტა, რომელიც ავსტრიის ჯარში მსახურებდა.

### მისალმება.

სამშობლოში დაბრუნებულ ჯარს გაზეთები მისასალმებელ წერილებს უძღვნიან.

### რუსეთის წარმომადგენლების შესახებ.

ეროვნულმა კრებამ აკრძალა გერმანიაში რუსეთის საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთა შესვლა, რომელთაც განზრახული აქვთ გერმანიის მუშათა და ჯარის-კაცთა ცენტრალურ კომიტეტში მონაწილეობის მიღება.

### ვილსონის განცხადება.

პრეზიდენტ ვილსონს საუბარი ჰქონდა საფრანგეთის ელჩ ჟიუს-სერანდოისთან. „პარიზიენის“ ცნობის თანახმათ ვილსონმა განაცხადა, რომ მას სურს მონაწილეობა მიიღოს საზავო კონფერენციაში, რათა თავისი 14 მუხლი, რომელსაც მიზნათ აქვს ჩაუყაროს საფუძველი ხალხთა ზავს, თვით წამოაყენოს და ცხოვრებაში გაატაროს. „ფორვერტს“ მოჰყავს ეს ცნობა შემდეგის სათაურით. „როგორ, როდის და სად“.

### კომისიის ჩამოსვლა.

ინგლისელთა, საფრანგეთის და ბელგიელთა კომისია ბერლინში ჩამოვიდა, ინგლისელთა კომისიაში შედის გენერალი რევენსგოუსი, კაპიტანი ვიკერმანი, ლეიტენანტი მოკენზანკი და ლეიტენანტი ირინი. ფრანგების კომისიაში შედის ელჩი ალბერტ დანტზონარდი-საფრანგეთის წითელი ჯვრის დელეგატი, მაიორი მარსელ რეინი, სამხედრო ინტენდანტი ბლანკ პიგეი, მთარგმნელი გუსონი, ლეიტენანტი ალექსანდრედიუე და ლეიტენანტი ანდრეა შულდგრი. ბელგიის კომისიის ხელმძღვანელია ბიქტორ იზე. წევრები: მაიორი დეგოლი და ვექილი ტეოფილ პერსი.

## ცნობა მოსკოვიდან

(საქ. დეპ. სააგ.).

### პეტლიურას ჯარი და მოხალისენი.

ეკატერინოსლავის ქუჩებში პეტლიურას ჯარისა და მოხალისეთა ჯარს შორის ბრძოლა, გერმანელ ჯარის სარდლობის მოთხოვნილებით, შესწყდა. მდგომარეობა გამოურკვეველია. პეტლიურას ჯარის შტაბმა ეკატერინოსლავში ბრძანება გასცა იარაღი აჰყარონ კომუნისტებს, მაგრამ ჯარის კაცებმა გადაჭრით უარი განაცხადეს და მოითხოვეს ოფიცერთა განიარაღება.

### გაფიცვები.

კრასნოვის ჯარის მიერ ამას წინად დაჭერილ ლუგანსკის ყველა ქარხნებში გაფიცვა დაიწყო.

### მდგომარეობა გერმანიაში.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ მხარი დაუჭირა პროლეტარიატის დიქტატურას. მრავალი კაპიტალისტი ოჯახებით ქალაქს სტოვებს, სახალხო რწმუნებულთა რყევამ ეკონომიურ სფეროში და მათმა კომპრომისულმა პოლიტიკამ ბერლინის მუშათა მასაში საერთო უკმაყოფილება გამოიწვია. დაიმლერის და სხვა ქარხნების მუშები იმუქრებიან, რომ მთავრობის დაუკითხავად ქარხნების სოციალიზაციას მოახდენენ. სხვა ქარხნებში ასეთივე სულიერი განწყობილებაა. ვესტფალის მაღაროების მუშათა გაფიცვაც პოლიტიკური ხასიათისაა.

### ჰუნგრეთში.

ბუდაპეშტი, ჰუნგრეთის დამფუძნებელ კრების არჩევნები იანვარში მოხდება. დაწვრილებით უნდა გამოირკვეს ჰუნგრეთის რომელ ოლქს შეუძლიან ჰუნგრეთის დამფუძნებელ კრებაში წარმომადგენლობის უფლება.

### სლოვაკთა მთავრობის განცხადება.

სლოვაკთა სახალხო მთავრობამ ჰუნგრეთის მთავრობას თავის დელეგატის საშუალებით განუცხადა, რომ ჩეხო-სლოვაკების დამოუკიდებელ რესპუბლიკის სატახტო ქალაქი ქ. კასსა იქნება.

### რუმინიის მოქმედება.

რუმინიამ ტრანსილვანში სადემარკაციო ხაზი გადალა და ბესტერენ-ასედს მიაღწია.

ლიონი, 11 დეკემბერი. სმირნის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლის სათავეში შექრი—განემი სდგას, კლემანსოს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც სთხოვს ყურადღება მიაქციოს მთლიანი სირიის დაცვის საჭიროებას.

## ქრონიკა

○ 15 დეკემბერს, დილის 11 საათზე ფინანსთა სამინისტროს შენობაში, გოლოვინის პროსპ., № 22, დანიშნულია საქართველოს პარლამენტის და მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეების ეკონომიურ საზოგადოების წევრთა საერთო კრება. განსახილველი საგნებია: 1) გამგეობის მოხსენება, 2) საორგანიზაციო კომისიის მოხსენება, 3) წესდების შეცვლა, 4) 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და 5) მიმდინარე საკითხები. კრებაზე შესვლისას საჭიროა საწევრო წიგნაკის წარდგენა.

○ ხუთშაბათს, 12 დეკ., ტფილისზე გაიარა ბაქოდან ბათომში ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებულ შტატების მისიამ, რომელსაც რკინის გზის სადგურზე მიეგება მისალმებით, გარეშე სამინისტროს კანცელიარიის დირექტორი ბ-ნი ლორთქიფანიძე, პორუჩიკი შ. ორბელიანი და ბ. ლამბაშიძე.

○ ჩვენს გაზეთში მოთავსებული ცნობა კალეს გიმნაზიის დახურვის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება.

○ სამშაბათს 10 დეკემბერს ტფილისის სადგურზე ბაქოდან ბათომისაკენ მიმავალმა ინგლისელებმა რიცხვით 100 კაცმა გამოიარა.

○ დეკემბრის 11 საათ. ფოთში ჩამოვიდა გერმანელ ჯარის კაცთა წასაყვანათ გემი „ასგარი“. მეორე გემს „გენერალს“ დღეს მოელიან.

○ 9 დეკემბერს სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების საწყობიდან 54,000 მანეთის ცარიელი ტომრები მოიპარეს.

○ სოჭიდან იტყობინებიან რომ იქ ერობის არჩევნები დაუბრკოლებლივ მიდის. გლეხთა ყრილობამ სრული ნდობა გამოუცხადა საქართველოს მთავრობას.

○ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის გოლოვინის პრ. არაფელოვის სახლში № 24 იხსნება კოოპერატიული სასადილო. წევრებათ მიიღებიან მხოლოდ ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტობა. ჩაწერა შეიძლება სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის ბინაზე ვ. ძიძიგურთან, გ. სვანიძესთან და შალ. კიკნაძესთან.

○ კვირას, 15 დეკემბერს, კონსერვატორიის დარბაზში დილის $12^1/_2$ საათზე ქართული სამუსიკო სკოლა ჰმართავს პირველ მოწაფეთა კონცერტს, რომელშიაც მხოლოდ შეგირდები იღებენ მონაწილეობას. პროგრამა მეტად საინტერესოა და უფრო საყურადღებოა პატარა ბავშვების ნიჭის მსვლელობა.

## განცხადებანი


## დრამატიული საზოგადოების

**გამგეობის თავმჯდომარე**

ამით აცხადებსს, რომ ამა წლის 15 დეკემბერს დანიშნულია საზოგადო კრება აღნიშნული საზოგადოებისა. 1092 12—5

დიდი ხნის ნამსახური ასწავლის ბეჭდვას

## ქართულ საწერ მანქანებზე

და ამზადებს სპეციალურად დაწესებულებებისათვის (ყველა სამსახურის ქაღალდების ფორმების შესწავლით). აქვე ასწავლიან ქართულ ენას. ლერმონტოვის ქ., № 29. 1154 8—1

სერგო გოროგობიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 484 და მოწმობა, მიცემული განჯის დეპოდან. რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1162 3—1

ივანე ბეჟანისძე ხუხუნი აცხადებს, რომ ამა წლის დეკემბრის 11-ს დაჰკარგა აღმასრულებელიფურცელი მიცემული 5 დეკემბრის № 604 პირველ რაიონის მომრიგებელ მოსამართლისაგან რაც გაბათილებულათ უნდა ჩაითვა-ლოს. 1152 3—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. სექტემბრის 23 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ეკატერინე მიკირტუმის ასულის კარაკაშევისა. 632 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ, აგვისტოს 7 სოხუმის ოლქის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში მ-48 ნაწილში, 109 გვ. 1999 №-ით აღნიშნულია, ამა წლის ივლისის 25 გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც პეტროს კარაპეტის ძე ბალიანმა დაიმტკიცა ქ. გუდაუთიდან მიწის ნაჭერი № 10, ზომით 281, 25 ოთხკ საჟ. 93 მან. 377 3—1

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა ილარიონ დავითის ძე და შალვა პავლეს ძე ბერიძეების მიერ მიცემული ივანე მიხეილის ძე კახიანზე, დამტკიცებული ჭიათურის ნოტარიუსის აბულაძის მიერ ამა წლის 11 წიფობისთვეს რეესტრის № 1747—28 წიფობისთვის ამა წლის დადგენილებით—გაუქმებულია. 1104 3-2

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 25 დამტკიცებულია, ამა წლის ოქტომბრის 12 შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მანუხ. და შალომ. მოშეს ძეთ თავდიდიშვილებმა 60,000 მან. მიჰყიდეს მიხეილ შაფათას ძე ელო-ხაიმ მიხეილის ძე ხახიაშვილს მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ქუთაისში, გენერლის ქ., ზომით-აღმოს.—10, 85 საჟ. დასავ.-6, 3 საჟ. ჩრდ.-10 საჟ. სამხრ-13 საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 2400 მან. მთავარი ამონაწერი 300 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის ნოემბრის 25. 1136 1—1

გორის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს 1918 წ. სექტემბრის 8 გარდაცვალებულ ხალილ-ისმაილ ოღლის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ხალილ ისმაილ ოღლოს ქონებაზე X ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაშა. 1116 3-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ მის მიერ ნოემბრის 1 გაუქმებულია ყადაღა, რომელიც დადებული იყო ლიდია ივანეს ასულ ვოლოშინას მამულზე, რომელიც მდებარეობს ქ. გუდაუთში და შეიცავს მიწის 3 ნაჭერს №№ 3, 5, 7, უბ. 76-77 ზომით 843, 75, ოთკ. საჟ. და შეტანილი იყო სოხუმ. ოლქ. 1914 წლის ყადაღათა კრებულში მე-103-№-ით. 1135 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 26-ს დამტკიცებულია, ამა წლის ნოემბრის 12-ს შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე ალექსანდრე იოსებისძე გვანცელაძემ 5000 მ. მიჰყიდა პავლე ისიდორესძე ძოძუაშვილს მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ქუთაისში, ჭავჭავაძის ქ. ზომით აღმოს.-ჭავ. ქ.-16 არშ. ლექავას საზღ. 11 არშ. დასავ--27 არშ. სამხრ.-იურჩენის ქუჩ.-15 არ. $^1/_5$ საჟ. ლექავას საზღვ.-24 არშ. ჩრდ.-39 არ. $^1/_5$ საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 200 მან. მთავარი ამონაწერი 25 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის ნოემბრის 26. 1138 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 25-ს დამტკიცებულია, ამა წლის ოქტომბრის 18 შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ევპრაქსია გლახუას ასულმა ვაჩიბერიძემ 1000 მ. მიჰყიდა ალექსანდრე სტეფანესძე ასათიანს მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ქუთაისში, მესხეთის ქ., ზომით აღმოს.-2 საჟ. 2. არშ. 13 ვერშ. დასავ. 2 საჟ. 2 არშ. 12 ვერ. სამხრ.-9 საჟ. 2 არშ. 7 ვერ. ჩრდილ-9 საჟ. 2 არ.-7 ვერ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 40 მან. მთავარი ამონაწერი 5 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის ნოემბრის 25. 1137 1—1

## ქუთაისი. თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი სახელმძღვანელო წიგნები:**

გორგაძე ს. კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, მეორე გამოცემა ფასი 6 მან.

ზაალიშვილი მ. (ტფილ. მეოთხე გიმნ. დირექტორი) მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა არა ორგანიული ბუნება.

მისივე. ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია.

მისივე. ორგანიული ბუნება ზოოლოგია.

კუკულესკო, პროფ. ქიმიის სახელმძღვანელო, თარგ. ფ. ბეთანელისა, 7 მან.

კელენჯერიძე მ. დეკ. საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის ისტორიის მოკლე ისტორია 4 მან.

ნიკოლაძე ევს. საქართველოს ეკლესიის ისტორია 5 მან.

ცქიტიშვილი პლ. მლ. ლოცვანი პირველდაწყებითი შკოლებისთვის 1 მ. 20 კ.

უზნაძე დ. მსოფლიო ისტორიის სახელმძღვ. ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, მეორე გამოცემა 2 მ. 90 კ.

ყიფიანი ვ. დაწყებითი ალგებრა მესამე და მეოთხე კლასის კურსი 4 მ.

ჭიჭინაძე ალ. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა, მესამე გამოცემა 3 მან.

ზაალიშვილი მ. ბუნების მეტყველების სახელმძვანელო ბოტანიკა.

ფერაძე ი. საქართველოს ისტორია 8 მან.

**იბეჭდება:**

პროფ. ჯავახიშვილი ი. ქართული სამართლის ისტორია.

სერ. გორგაძე. ჩვენი ახალი მწერლობა კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია, მეორე გამოცემა. 1142 4—1

## ცეცხლისაგან ქონების ურთიერთ დაზღვევის ტფილისის საზოგადოების გამგეობა

აუწყებს საზოგადოების ბ. ბ. წევრებს, კვირას, 1918 წ. 22 დეკემბერს, 11 საათზე საზოგადოების გამგეობის ბინაზე (ველიამინოვის ქ., 10)

**შესდგება მეორე არაჩვეულებრივი საზოგადო კრება**

იმის მაგივრათ, რომელიც ამა წლის 8 დეკემბერს. იყო კრების მიზანია შეცვლილ წესდების პროექტის განხილვა და მიმდინარე საკითხების გარჩევა. საზოგადოების წესდების § 26 ძალით ეს არაჩვეულებრივი საზოგადო კრება, ყოველ შემთხვევაში, მიუხედავათ წევრთა რიცხვის დასწრებისა, იქნება კანონიერი. 1151 4—1

**ქართული სააქციონერო საზოგადოება**

## „ოქროს ვერძი“

ამით აცხადებს, რომ კვირას, 5 იანვარს 12 დილის. ფოთის საურთიერთო ნდობის დარბაზში

**დანიშნულია საზოგადოების აქციონერების სავანგებო კრება,**

რომელზედაც გაირჩევა შემდეგი კითხვები: 1) წესდების § § 4, 6, 8, 12, 17, 26, 32, 41, 57 შეცვლისა. 2) გამგეობის ორი წევრის და მათი კანდიდატების არჩევა. ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ თანახმად სავანგებო კრების გადაწყვეტილებისა, უკანასკნელი ვადა საზოგადოების დამფუძნებელ აქციონერებზე გაწერილი აქციების ღირებულება უნდა იქნეს საზოგადოების კასაში შემოტანილი და სავსებით შევსებული არა უგვიანეს 25 თებერვლისა 1919 წ. 1159 1—1

## საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ტფილისის ცენტრალ საწყობში 17 დეკემბერს 1918 წ. დილის ათ საათზედ გაიყიდება ქვემოდ აღნიშნული საქონელი. მიღებული ტფილისში ბათომიდგან № 68260 მოწამლული ალკოგოლი 69 ფ. 10 გ. თუ დანიშნულ დროზედ დარჩა გაუყიდავი, ხელმეორედ დაინიშნება გასასყიდად 18 დეკემბერს. 1150 1-1

## სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ტფილისის სასურსათო და ნივთების საწყობიდან გაიყიდება ქვემოხსენებული სურსათ სანოვაგე და ნივთები სამხედრო მინისტრის განკარგულებით დანიშნულ გენერალ-მაჭავარიანის კომისიის მიერ. მსურველთ სანოვაგის და ნივთების რაოდენობის, ღირსების და ფასის შესახებ უნდა მიმართონ კომისიის თავმჯდომარეს გენერალ მაჭავარიანს სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილების სადგომში. გასაყიდათ დანიშნულია ტფილისის სასურსათო საწყობიდან: გამხმარი ხილი, ძმარი, დაფნის ფოთოლი, გამხმარი ბოსტნეული, თევზი (ქაშაყი თევზი), კანიფოლი, გალეტები, ღორის ქონი, ხილის მაშარაფი და მახორკა. 2 სანივთო საწყობიდან. მოკლე ჩასაცმელი ტყავები, ახალი და ძველი მოთელილი წაღები, წაღები ლურსმიანი, ნალის მოსაკიდებელი (შიპები), წაღების ზეთი, ჩარდახები, საზაფხულო და საზამთრო წვივსაკრავები, პოვოზკები, სხვა და სხვა ჯურის ძველი ბარგის საზიდი ურმები, ტანისამოსის ნაგლეჯები, ქეჩები და ურმების ღერძის გასაპოხი.

1148 3—2


სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.